ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1441330

ნომერი: AR1245361

თარიღი : 19.08.2014

გაცემის თარიღი : 26.08.2014

გაცნობის თარიღი : 27.08.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი რესპუბლიკა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან გაჩეჩილაძე პ/ნ 01024001989
- თბილისი ცაგერის ქ. N 6 ბ. 5

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: დამხმარე ნაგებობა, საცურაო აუზი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მიხეილ ყრუაშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404385722
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ლევან გაჩეჩილაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024001989

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : №347435; AR165891
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 19.09.2012

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2012 წლის 19 სექტემბრის №347435 ბრძნებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 19 სექტემბრის№347435 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, (სექტორი–მთაწმინდა), რესპუბლიკის მოედანზე მდებარე შენობის რეკონსტრუქციის-მიშენებით არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაშია 2012 წლის 21 სექტემბრიდან 2014 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით.
2014 წლის 19 აგვისტოს N AR1245361 განაცხადით მოგვმართა ლევან გაჩეჩილაძემ, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის გაგრძელების მიზნით 2012 წლის 19 სექტემბრის №347435 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში დასრულების თარიღში ცვლილების განხორციელებას. სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 19 სექტემბრის №347435 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ "ძალაშია 2014 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით",
შეიცვალოს "ნებართვა ძალაშია 2015 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით";
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 19 სექტემბრის №347435 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.